



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)“

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 13/08/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13/09/2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების I საფეხური (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი 0613
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანი არაბული. სტუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ბოსიკაშვილი. სტუ, საქართველო (როგორც დამსაქმებელი ექსპერტი- სერვისების განვითარების სააგენტო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური. თსუ, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა „კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)“ ახალია. პროგრამის ფარგლებში ძირითადი აქცენტი კეთდება მათემატიკის, ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის ფუნდამენტური კურსების ინტეგრირებაზე კომპიუტერული პროგრამების ინჟინერიის, სისტემის ადმინისტრირებისა და მონაცემთა მეცნიერებების კურსებში. წარმოდგენილი პროგრამა ასევე გადის პროცედურებს ABET (Accreditation Board for Engineering and Technology – abet.org) აკრედიტაციისათვის.

პროგრამა ინგლისურენოვანია. სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამა შედგება თავისუფალი კომპონენტებისაგან - 60 კრედიტი და ძირითადი სასწავლო კურსებისაგან - 180 კრედიტი. საბაკალავრო საგანმანათლებლო როგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - **კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი (0613)**.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 13 აგვისტოს (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 28.07.2020 წლის N0000640016 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2020 წლის 12 აგვისტოს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

2020 წლის 13 აგვისტოს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; IT მიმართულების საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან.

ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტის მიხედვით მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მესამე და მეხუთე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

- პროგრამის მიზნებში ნათლად აისახოს კურსდამთავრებულთა სამიზნე ცოდნა
- დაზუსტდეს პროგრამის მეორე შედეგი და გაიწეროს ისე, რომ იყოს გაზომვადი და მიღწევადი.
- პროგრამაში გაიზარდოს კომპიუტერული მეცნიერებების კურსების წილი
- სასწავლო კურსის: „დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი“ გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა (მინიმუმ ორჯერ)
- პროგრამაში მიეთითოს „დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი“ სასწავლო კურსის წინაპირობა
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის გაიზარდოს ქართული ენის კურსის სწავლების დონის მოთხოვნა A2 ჩათვლით და გახდეს არჩევითი
- სასწავლო კურსი „შესავალი თანამედროვე აროვნებაში II“ გახდეს არჩევითი ან მისი შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან.
- ფიზიკა II-ის წინაპირობად განისაზღვროს ფიზიკა I;
- პროგრამის ქართული თარგმანი შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურ ორიგინალთან
- შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების ქართულენოვანი სილაბუსები ინგლისურენოვან სილაბუსებთან. გასწორდეს მექანიკური და აზრობრივი შეცდომები, დაზუსტდეს ტერმინოლოგია
- სასწავლო კურს „CS110 შესავალი დაპროგრამებაში“ სილაბუსის ქართული ვარიანტის კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის ცხრილი შესაბამისობაში მოვიდეს მის ინგლისურ ვარიანტთან
- სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას მიეთითოს გამოშვების წელი
- სასწავლო კურსი „CS223 კიბერ უსაფრთხოება“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას „შესავალი კიბერუსაფრთხოებაში“, ასევე ჩაემატოს ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები.
- სასწავლო კურს „CS222 ოპერაციული სისტემები სისტემური პროგრამირების ელემენტებით“ ჩასწორდეს მიზანი
- სასწავლო კურსი „CS 311 პროგრამირების ენები“-ში განხილულ იქნას CLIPS ენა
- სასწავლო კურს ‘CS312 კომპიუტერული ქსელები“ დაზუსტდეს კურსის დასახლება და ჩაემატოს თემები ძირითადი ქსელური მოწყობილობების (Router, Switch) აღწერასა და ფუნქციონირების შესახებ. დინამიური და სტატიკური მარშუტიზაციის პრინციპების შესახებ. ასევე ჩაემატოს Ipv4 და Ipv6 მისამართების ზოგადი აღწერა.
- „CS411 Nand2Tetris“ სასწავლო კურსის სილაბუსში ნათლად აისახოს კურსის შინაარსი და შეიცვალოს მოძველებული ლიტერატურა ახლით.
- სასწავლო კურსში „CS413 ვებ პროგრამირებაში“ ჩაემატოს თემატიკები javascript ფრეიმვორკებთან და მონაცემთა ბაზა MangoDB-სთან მუშაობის პრინციპებთან დაკავშირებით და HTML/CSS თემატიკას დაეთმოს ადეკვატური სალექციო საათები.

- ზოგიერთი კურსებზე დაშვების წინაპირობები გასაძლიერებელია (მაგ: „CS417 შესავალი ბუნებრივი ენის დამუშავების ტექნოლოგიებში“ საჭიროა მათემატიკური ლოგიკისა („CS120 კომპიუტინგის მათემატიკური საფუძველი“) და სტატისტიკის („MATH251 ალბათობის თეორია და სტატისტიკური მეთოდები“) საკითხების ცოდნა. ანალოგიურად, „CS214 შესავალი კომპიუტერულ ენათმეცნიერებაში“ საჭიროა მათემატიკური ლოგიკის საკითხების ცოდნა.)
 - შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსში „კომპიუტერული ქსელები“ მითითებული სწავლების მეთოდები კურსის შინაარსთან და შეფასების კომპონენტებსა და მეთოდებთან.
 - რეკომენდირებულია სასწავლო კურსების: 1.ბიოლოგია ინჟინერთათვის, 2.შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II, 3.განაწილებული და პარალელური გამოთვლები, 4.რიცხვითი მეთოდების პრინციპების და 5. Nand2Tetris-ის სილაბუსებში შეფასების რუბრიკებში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება. ასევე, რეკომენდირებულია, რომ Nand2Tetris-ის სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასება არ აღემატებოდეს 30 ქულას ან შეიცვალოს უსდ-ს რეგულაცია და შესაძლებელი გახდეს სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასების გაზრდა, რათა სილაბუსი წინააღმდეგობაში არ იყოს უსდ-ს მარეგულირებელ დოკუმენტთან.
 - დაზუსტდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „Nand2Tetris“ ლექტორი და იგი შეირჩეს საგნის ცოდნიდან გამომდინარე
 - გადაიხედოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო წიგნები და განხორციელდეს დანაკლისის შესყიდვა.
-
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

 - სასურველია, უსდ-მ ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის დამატებით უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება;

 - საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

 - განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული მეცნიერება (ძირითადი სპეციალობა)“ (სწავლების ენა ინგლისური) მიზანი ეფუძნება სსიპ ილიას უნივერსიტეტის მისიას. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ისე საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს და მეცნიერების განვითარების მოთხოვნებს. პროგრამის მიზანი ასახავს, თუ რა უნარების კურსდამთავრებულებს მოამზადებს და რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. პროგრამის განვითარებაში ჩართული პირები იზიარებენ პროგრამის მიზნებს.

პროგრამის მიზანები:

- კურსდამთავრებულს აქვს შესაბამისი ცოდნა და უნარები კომპიუტერული მეცნიერების დარგში, იმისთვის, რომ შეძლოს მაღალ პროფესიულ დონეზე საქმიანობა და ამით წვლილი შეიტანოს როგორც პროფესიული, ასევე ფართო საზოგადოების განვითარებაში;
- კურსდამთავრებულს აქვს ავტონომიურად მუშაობის უნარი, შეუძლია ჯგუფში ეფექტურად მუშაობა, როგორც ლიდერსა და ჯგუფის წევრს.

პროგრამის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში გათვალისწინებულია ABET და დარგის უცხოელ ექსპერტთა უკუკავშირი, რომლებიც მოიცავს მათ დადებით შეფასებებს და რეკომენდაციებს.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზანი ნათლად არ ასახავს კურსდამთავრებულთა სამიზნე ცოდნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დარგის უცხოელ ექსპერტების უკუკავშირის ამსახველი ანგარიში;
- საერთაშორისო ექსპერტების (ABET) უკუკავშირისა და რეკომენდაციების ამსახველი ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნებში ნათლად აისახოს კურსდამთავრებულთა სამიზნე ცოდნა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერის მიხედვით და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციის. აღნიშნულ პროგრამას გააჩნია 5 სწავლის შედეგი. აღწერილი შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სწავლის შედეგები დეტალურადაა აღწერილია სილაბუსებში. სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოხონებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების მე-2 პუნქტი „პროგრამის დისციპლინის კონტექსტში, შექმნან, დანერგონ და შეაფასონ კომპიუტინგზე დაფუძნებული გადაწყვეტილება, რომელიც პასუხობს გამოთვლის განსაზღვრულ მოთხოვნებს“ ძალაშია ზოგადია და ინფორმაციული ტექნოლოგიების ნებისმიერმა კურსმა შეიძლება დააკმაყოფილოს. ამასთან ის ცალსახად არ ინტერპრეტირდება და არის ძნელად გაზომვადი. უნივერსიტეტში არსებობს სწავლის შედეგების შეფასების განსაზღვრული მექანიზმი. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამას გააჩნია სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, იცნობს პროგრამის შედეგებს და მათი შეფასების ინსტრუმენტებს. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც

სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.
სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე: აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, თუმცა დამსაქმებლები პროგრამის მიზნების და შედეგების შემუშავებაში მხოლოდ ზედაპირულად იყვნენ ჩართული. თავად პროგრამაში და კურსების შინაარსის ცვლილებებში მათი რეკომენდაციები იქნა გათვალისწინებული.
პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები.
პროგრამა ახალია, ამიტომ სტუდენტებთან ვერ მოხერხდა გასაუბრება იმის თაობაზე, რამდენად იღებენ ისინი უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • დაზუსტდეს პროგრამის მეორე შედეგი და გაიწეროს ისე, რომ იყოს გაზომვადი და მიღწევადი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გოხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, გამჭვირვალეა, საჯარო და ხელმისაწვდომი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე პროგრამას გააჩნია დაშვების წინაპირობა, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით: „პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გაიარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები. პროგრამაზე მისაღებად საჭირო მინიმალური კომპეტენციის ზღვრები ერთიანეროვნულ გამოცდებში განისაზღვრება შემდეგნაირად:

• ინგლისურიენა- 75%+1; • ქართულიენა, გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მოცულობით; • მათემატიკა - 50% +1. საერთაშორისო აპლიკანტებმა უნდა იხელმძღვანელონ იმ წესებით და პირობებით, რაც დადგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ (http://www.mes.gov.ge/content.php?id=1131&lang=geo) #224/N (დეკემბერი 29, 2011) ბრძანებით. აპლიკანტებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ცოდნა, რომელიც შეესაბამება ევროპის საერთო შეფასების ჩარჩოს B2 დონეს ან მეტს. ან ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შესავსები ან ონლაინ ტესტი, რომელიც შეესაბამება ევროპის საერთო შეფასების ჩარჩოს B2 დონეს.“
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დადაგეგმვის ძირითად პრინციპების დაცვით. პროგრამაში შემავალი კურსები აქტუალურია და მოთხოვნადი. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები, რომლებშიც დადგენილია დეტალური მოთხოვნები პროგრამის შემადგენელ ყველა მნიშვნელოვან ასპექტთან მიმართებაში. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს.

კურიკულუმი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებშიც ასახულია დარგის თანამედროვე ტენდენციები და გამოყენებულია უმეტესად უახლესი სასწავლო მასალები და რესურსები.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი) და პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი (ECTS). მათ შორის:

თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი (მათ შორის, 12 კრედიტი არჩევითები საგნებიდან);

ძირითადი სწავლის სფერო - 180 კრედიტი (მათ შორის, 48 კრედიტი არჩევითი საგნებიდან). შესაბამისად, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს.

პროგრამის შინაარსი და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი არის თანმიმდევრული. დაშვების წინაპირობები ლოგიკურად დალაგებული.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად; იგი ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს;

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, მოწვეული ლექტორები, კურსდამთავრებული, სტუდენტი და დამსაქმებელი. პროგრამის პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი იცნობენ პროგრამას და მონაწილეობა მიიღეს პროგრამის შინაარსის განვითარებაში.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

პროგრამის გარშემო არის შემდეგი შენიშვნები:

- პროგრამა გადატვირთულია პროგრამული ინჟინერიის დარგის კურსებით, რაც ერთის მხრივ მოთხოვნადია თანამედროვე დასაქმების ბაზარზე, მაგრამ მეორეს მხრივ შემცირებულია კომპიუტერული მეცნიერებების კურსების წილი, რაც აუცილებელია სტუდენტების ანალიტიკური აზროვნების და კვლევითი უნარების განსავითარებლად.
- „დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი“, რომლის მიზანია სტუდენტების მიერ პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება კომპიუტერული მეცნიერების სფეროში სულ მცირე ფუნქციონირებადი პროგრამული

უზრუნველყოფის, აპარატურული სისტემის პროგრამის/მცირე ოპერაციული სისტემის, მანქანური სწავლების მოდელის პროტოტიპის შექმნის მიზნით, კრედიტების რაოდენობაა 6 (ECTS). ამ კურსის ფარგლებში ასევე ხდება პროექტის ანგარიშის წარდგენა (შესავალი, მიმოხილვა, მიზნები, მეთოდოლოგია, შედეგები და სხვა). მიგვაჩნია რომ 6 კრედიტი არ არის საკმარისი და სასურველია გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა. ასევე აღნიშნული კურსის სილაბუსით კურსზე დაშვების წინაპირობაა - 114 კრედიტის ათვისება, რაც არ არის მითითებული პროგრამაში და სასურველია რომ მიეთითოს; ○ ქართული ენის კურსი შედგენილია A1.1 დონის შესაბამისად და სავალდებულოა არაქართული სტუდენტებისთვის. მომიჯნავე სპეციალობის უცხოელ სტუდენტთან ინტერვიუს შედეგად, რომელსაც გავლილი აქვს აღნიშნული კურსი, გამოიკვეთა, რომ სტუდენტს საერთოდ არ ესმის ქართული ენა. სასურველია რომ გაძლიერდეს ქართული ენის კურსი არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის და გახდეს არჩევითი სხვა უცხო ენასთან ერთად. ○ პროგრამაში სავალდებულო საგნად წარმოდგენილია „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“, რომელიც ისწავლება ორ სემესტრად ჯამში 12 კრედიტი. „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II“ გახდეს არჩევითი ან შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან და შეიცვალოს ლოგიკის სასწავლო კურსით. ○ პროგრამაში არჩევით საგნად წარმოდგენილი ფიზიკა II-ის წინაპირობად განისაზღვროს ფიზიკა I; ○ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ინგლისურენოვანია, თუმცა ქართულენოვან თარგმანში არის ბევრი უზუსტობა და შეუსაბამობა ინგლისურთან მიმართებაში. სასურველია პროგრამისა და სილაბუსების ქართული თარგმანის ინგლისურ ორიგინალთან შესაბამისობაში მოყვანა;	მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სილაბუსები ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • პროგრამაში გაიზარდოს კომპიუტერული მეცნიერებების კურსების წილი • სასწავლო კურსის: „დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი“ გაიზარდოს კრედიტების რაოდენობა (მინიმუმ ორჯერ) • პროგრამაში მიეთითოს „დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი“ სასწავლო კურსის წინაპირობა • არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის გაიზარდოს ქართული ენის კურსის სწავლების დონის მოთხოვნა A2 ჩათვლით და გახდეს არჩევითი • სასწავლო კურსი „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II“ გახდეს არჩევითი ან მისი შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან. • ფიზიკა II-ის წინაპირობად განისაზღვროს ფიზიკა I; • პროგრამის ქართული თარგმანი შესაბამისობაში მოვიდეს ინგლისურ ორიგინალთან	

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➤ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსი, კონკრეტულად, კურსის სწავლის შედეგები, შესაბამისობაშია აღნიშნული პროგრამის სულ მცირე ერთ სწავლის შედეგთან. თითოეული კურსი სილაბუსში ასახულია კურსის სწავლის შედეგისა და პროგრამის სწავლის შედეგის შესაბამისობა. თითოეული კურსის მოცულობა და სიღრმე შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, მოცულობა და დატვირთვა განსაზღვრავს კრედიტების რაოდენობას და მიღწევადს ხდის კურსით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსის მოცულობისა და სტუდენტების დატვირთვის განსაზღვრა, ABET აკრედიტებული პროგრამის, კერძოდ SDSU კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის ანალოგიით განხორციელდა. კურსის სწავლების შედეგების შეფასება დეტალურად არის მოცემული კურსის სილაბუსში და მოიცავს შესაბამის შეფასების კომპონენტებსა და კრიტერიუმებს/რუბრიკებს.

კურსების ეფექტურობის შეფასების მიზნით, ყოველ სემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელიც ითვალისწინებს კურსის ისეთი ასპექტების შეფასებას, როგორიცაა კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომი ხდება კურსის ლექტორისთვის და პროგრამის ხელმძღვანელისთვის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სასწავლო კურსებთან დაკავშირებით არის შემდეგი შენიშვნები:

- სასწავლო კურსების ქართულ და ინგლისურ ვარიანტებს შორის არის განსხვავებები
 - არასწორად არის ნათარგმნი ინგლისური სილაბუსებში მოყვანილი ტერმინები მათ შესაბამის ქართულ ვარიანტებში
 - თარგმანში არის მექანიკური და აზრობრივი შეცდომები (მაგ: სასწავლო კურს „CS110 შესავალი დაპროგრამებაში“ სილაბუსის ინგლისური ვარიანტის კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლების შედეგებს შორის ურთიერთ კავშირის ცხრილი განსხვავდება ქართული ვარიანტისგან)
- ბევრ სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას არ აქვს გამოშვების წელი მითითებული (მაგ. CS223 კიბერ უსაფრთხოება, CS426 დიდი მონაცემების სისტემები და სხვა)
- სასწავლო კურსი „CS223 კიბერ უსაფრთხოება“ წარმოადგენს უფრო მეტად შესავალ კურსს, რაც ასევე აღნიშნა კურსის წამყვანმა მოწვეულმა ლექტორმა, ამიტომ კურსის დასახელებაში უნდა იყოს ეს ასახული. ამასთან კურსში არ არის გამოკვეთილად ასახული ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები.
- სასწავლო კურს „CS222 ოპერაციული სისტემები სისტემური პროგრამირების ელემენტებით“ სილაბუსის მიზანში მითითებულია, რომ სტუდენტები ასემბლერის საშუალებით შეძლებენ ოპერაციული სისტემის შეცდომების გასწორებას ან გაფართოებას, მაშინ როდესაც უმეტესი ოპერაციული სისტემებისა დაწერილია c/c++-პროგრამირების ენაზე
- სასწავლო კურსი „CS 311 პროგრამირების ენები“ -ში შედარებულია ლგიკური პროგრამირების ენა Prolog ფუნქციონალური პროგრამირების ენა Lisp-თან (და სხვებთან), მაშინ როდესაც Lisp-ს მონაცემთა სტრუქტურების შეთავსების მექანიზმები არ აქვს. ალბათ, უკეთესი იქნებოდა თუ აქ მათ მაგივრად განხილული იქნებოდა CLIPS ენა
- სასწავლო კურს ‘CS312 კომპიუტერული ქსელები’ ძირითადად განიხილება ქსელის პრაქტიკა და არა ქსელის ინფრასტრუქტურა და მათი მუშაობის პრინციპები, თუმცა კურსის ერთ-ერთი შედეგია „სტუდენტებს შეეძლებათ გაიგონ კომპუტატორისა და მარშრუტიზაციის პროცესების შესახებ“; ასევე არ განიხილება Ip დამისამართება. სასურველია დაზუსტდეს კურსის დასახლება და ჩაემატოს თემები ძირითადი ქსელური მოწყობილობების (Router, Switch) აღწერასა და ფუნქციონირების შესახებ. დინამიური და სტატიკური მარშრუტიზაციის პრინციპები. ასევე Ipv4 და Ipv6 მისამართების ზოგადი აღწერა, რათა მოხდეს აღნიშნული კურსის შედეგების მიღწევა.
- თუმცა „CS411 Nand2Tetris“ სასწავლო კურსი ნოვატორული კურსია, სილაბუსში ნათლად არ არის ასახული კურსის შინაარსი. ამასთან მითითებულია მოძველებული ლიტერატურა (2005 წლის)
- სასწავლო კურს „CS413 ვებ პროგრამირებაში“ ზედაპირულად არის განხილული javascript ფრეიმვორკებთან და მონაცემთა ბაზა MangoDB-სთან მუშაობის პრინციპები, აგრეთვე, HTML/CSS შესწავლისათვის დათმობილია მხოლოდ 1 კვირა (2 სალექციო საათი), რაც საეჭვოს ხდის ამ სილაბუსის მიხედვით სასურველ სწავლის შედეგებზე გასვლას.

• ზოგიერთი კურსებზე დაშვების წინაპირობები გასაძლიერებელია (მაგ: „CS417 შესავალი ბუნებრივი ენის დამუშავების ტექნოლოგიებში“ საჭიროა მათემატიკური ლოგიკისა („CS120 კომპიუტინგის მათემატიკური საფუძველი“) და სტატისტიკის („MATH251 ალბათობის თეორია და სტატისტიკური მეთოდები“) საკითხების ცოდნა. ანალოგიურად, „CS214 შესავალი კომპიუტერულ ენათმეცნიერებაში“ საჭიროა მათემატიკური ლოგიკის საკითხების ცოდნა.)
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამა • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების ქართულენოვანი სილაბუსები ინგლისურენოვან სილაბუსებთან. გასწორდეს მექანიკური და აზრობრივი შეცდომები, დაზუსტდეს ტერმინოლოგია • სასწავლო კურს „CS110 შესავალი დაპროგრამებაში“ სილაბუსის ქართული ვარიანტის კურსის სწავლის შედეგების ურთიერთკავშირის ცხრილი შესაბამისობაში მოვიდეს მის ინგლისურ ვარიანტთან • სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას მიეთითოს გამოშვების წელი • სასწავლო კურსი „CS223 კიბერ უსაფრთხოება“ შეეცვალოს სახელი და დაერქვას „შესავალი კიბერუსაფრთხოებაში“, ასევე ჩაემატოს ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები. • სასწავლო კურს „CS222 ოპერაციული სისტემები სისტემური პროგრამირების ელემენტებით“ ჩასწორდეს მიზანი. • სასწავლო კურსი „CS 311 პროგრამირების ენები“-ში განხილულ იქნას CLIPS ენა • სასწავლო კურსი „CS312 კომპიუტერული ქსელები“ დაზუსტდეს კურსის დასახლება და ჩაემატოს თემები ძირითადი ქსელური მოწყობილობების (Router, Switch) აღწერასა და ფუნქციონირების შესახებ. დინამიური და სტატიკური მარშუტიზაციის პრინციპების შესახებ. ასევე ჩაემატოს Ipv4 და Ipv6 მისამართების ზოგადი აღწერა. • „CS411 Nand2Tetris“ სასწავლო კურსის სილაბუსში ნათლად აისახოს კურსის შინაარსი და შეიცვალოს მოძველებული ლიტერატურა ახლით. • სასწავლო კურსში „CS413 ვებ პროგრამირებაში“ ჩაემატოს თემატიკები javascript ფრეიმვორკებთან და მონაცემთა ბაზა MangoDB-სთან მუშაობის პრინციპებთან დაკავშირებით და HTML/CSS თემატიკას დაეთმოს ადეკვატური სალექციო საათები. • ზოგიერთი კურსებზე დაშვების წინაპირობები გასაძლიერებელია (მაგ: „CS417 შესავალი ბუნებრივი ენის დამუშავების ტექნოლოგიებში“ საჭიროა მათემატიკური ლოგიკისა („CS120 კომპიუტინგის მათემატიკური საფუძველი“) და სტატისტიკის („MATH251 ალბათობის თეორია და სტატისტიკური მეთოდები“) საკითხების ცოდნა. ანალოგიურად, „CS214 შესავალი კომპიუტერულ ენათმეცნიერებაში“ საჭიროა მათემატიკური ლოგიკის საკითხების ცოდნა.)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მრავლად ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს. აღნიშნული პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია ცალკეულ კურსებში კონკრეტული, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის პრინციპზე დაფუძნებული, პრაქტიკული ხასიათის პროექტების/დავალებების შესრულებით, ლაბორატორიულ სამუშაოებში მონაწილეობით, ასევე უშუალოდ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტით (Senior Design Project), სადაც მათ ხელმძღვანელობს და აფასებს დარგის კვალიფიციური პირი. აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას და ხელს უწყობს სტუდენტების ჩამოყალიბებას შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიან კადრად. დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტების პრაქტიკული ნაწილი (Senior Design Project) განხორციელდება უნივერსიტეტის პარტნიორ კომპანიებში, რომელთა წარმომადგენლები შედიან პროგრამის მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში და ასევე იმ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს აქვს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. ამასთან, ტექნოლოგიების ახალი კორპუსი აღჭურვილია ციფრული და ანალოგური ელექტრონიკის თანამედროვე ლაბორატორიებით, და დამატებითი ლაბორატორიით დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტებზე (Senior

Design Project) სამუშაოდ. ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი არის Amazon-თან, Google-თან და Microsoft Azure-თან საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების ფარგლებში, თანამშრომლობის გაფორმების საწყის ეტაპზე, რაც პროგრამის მონაწილეებს მისცემს წვდომას თანამედროვე და ყველაზე პოპულარული ღრუბლოვანი სერვისებით სარგებლობის საშუალებას მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის კურსები მოიცავს სხვადასხვა ტიპის პრაქტიკულ დავალებებს, რომლის მიზანია, სტუდენტმა შეძლოს, შესწავლილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ამასთანავე, პროგრამა უზრუნველყოფს იმ აკადემიური უნარების გამომუშავებას, რომელიც საჭიროა ბაკალავრიატის საფეხურის დასაძლევად. სტუდენტს, ასევე, გამოუმუშავდება ტრანსფერული უნარები, ის მოახდენს პრაქტიკულ მეცადინეობებზე ასათვისებულ ცოდნის გადატანას რეალურ სამუშაო გარემოში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს იდეალაბი, სადაც სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ დამოუკიდებლად და გუნდურად თავიანთ წარდგენილ ტექნოლოგიურ პროექტებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები • საგანმანათლებლო პროგრამა; • ინტერვიუს შედეგები • მატერიალურ-ტექნიკური ბაზა • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამისება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი ლექტორის მიერ სტუდენტისთვის ცოდნის გადაცემის საშუალებას.

პროგრამაში აღწერილ საგნებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და შერჩეულია საგანთა სპეციფიკის გათვალისწინებით. “სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის:

- ინტერაქციული ლექციები და სემინარები;
- აქტიური სწავლების მეთოდები;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- პროექტები;
- დისკუსია/დებატები;
- ინდივიდუალური და ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
- გონებრივი იერიში (Brain storming), რეფლექსია;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ლაბორატორიული მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობა.

პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული კომპონენტის შესაბამის სილაბუსში. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. მსგავსი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ

აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება დაინიშნოს წინასწარ, შეხვედრების საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე “არგუსის” ან საუნივერსიტეტო ელ-ფოსტის საშუალებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსში „კომპიუტერული ქსელები“ მითითებულია სწავლების მეთოდები: პროექტი, პრეზენტაცია, რაც არ დასტურდება კურსის შინაარსით და შეფასების კომპონენტებით და კრიტერიუმებით. სასურველია კურსის სილაბუსში მიეთითოს ის სწავლების მეთოდები რომელსაც ლექტორი იყენებს აღნიშნული კურსის სწავლებისთვის.	მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამა; • ინტერვიუს შედეგები • აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი http://writingcentre.iliauni.edu.ge/ რეკომენდაციები: შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსში „კომპიუტერული ქსელები“ მითითებული სწავლების მეთოდები კურსის შინაარსთან და შეფასების კომპონენტებსა და მეთოდებთან. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
--	--

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესის მიხედვით, დასკვნითი გამოცდა არ უნდა აღემატებოდეს 30 ქულას, ხოლო შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორიცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც დეტალურადაა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსში, კერძოდ: 1. ბიოლოგია ინჟინერთათვის, 2. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II, 3. განაწილებული და პარალელური გამოთვლები, 4. რიცხვითი მეთოდების პრინციპები და 5. Nand2Tetris-ის სილაბუსებში შეფასებების კომპონენტებისა და შეფასების რუბრიკაში მოცემული ქულების რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო Nand2Tetris-ის სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასება აღემატება 30 ქულას, რაც წინააღმდეგობაში მოდის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესთან. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების რუბრიკებში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორებას და ასევე, რეკომენდირებულია, რომ Nand2Tetris-ის სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასება არ აღემატებოდეს 30 ქულას ან შეიცვალოს უსდ-ს რეგულაცია და შესაძლებელი გახდეს სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასების გაზრდა, რათა სილაბუსი წინააღმდეგობაში არ იყოს უსდ-ს მარეგულირებელ დოკუმენტთან.

ამასთან შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. სასწავლო კურსი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასებისა და კრედიტების მინიჭების წესის მიხედვით, დასკვნითი გამოცდისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა აღემატებოდეს გამოცდის მაქსიმალური ქულის 60%, აგრეთვე სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების კომპონენტებშიც განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსებით.

ასევე, აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ტრენინგ-მოდულები შემუშავებულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნული თანამშრომლობა გათვალისწინებულია Erasmus+ ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/Ex-Tempus) 2017 წლის საგრანტო კონკურსის 3 პროექტის ფარგლებში (INTEGRITY, PRINTeL, ASSET).

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ კურსით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება და შეფასების სისტემით განსაზღვრული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღება. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტის მიერ FX შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ამზადებენ დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტს (Senior Design Project), რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია პროექტის შეფასება რამდენიმე შემფასებლის მხრიდან, მათ შორის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და საინჟინრო და კომპიუტერული საგანმანათლებლო პროგრამების მრჩეველთა საბჭოს წევრების მიერ. დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტის კონცეფციაში დეტალურადაა გაწერილი როგორც ჯგუფური, ასევე ჯგუფის ინდივიდუალური წევრის შეფასების კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინდივიდუალური მონაწილეობის შეფასებას ჯგუფური მუშაობის ფარგლებში, აგრეთვე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი პლაგიატის აღმოჩენის მიზნით იყენებს Turnitin-ის პროგრამას.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილი იქნება სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის სტუდენტები მიიღებენ უკუკავშირის სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული სისტემა „არგუსი“, ასევე როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ასევე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას. ამასთან, უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც დასტურდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესით, რომლის მიხედვითაც სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში მიღებული შუალედური ან/და დასკვნითი შეფასებები შედეგის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, რასაც დეკანის ბრძანების საფუძველზე განიხილავს დარგის სპეციალისტი ან საპრეტენზიო კომისია. საპრეტენზიო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი პირისაგან, საპრეტენზიო კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს საპრეტენზიო განაცხადში მითითებული შუალედური ან/და დასკვნითი შეფასების სისწორეზე და 3 დღის ვადაში მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება: ა) სტუდენტისთვის ქულის მომატების შესახებ; ბ) სტუდენტისთვის ქულის დაკლების შესახებ; გ) სტუდენტისთვის ქულის უცვლელად დატოვების შესახებ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგს და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისძიებების გატარებას, რაც დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმით. ასევე აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. გამოკითხვების შედეგად დგინდება თუ რამდენად ინფორმირებული იყო სტუდენტი წინასწარ შეფასების სისტემის შესახებ, რამდენად ობიექტური იყო შეფასება, დროულად იტვირთებოდა თუ არა შეფასების შედეგები სისტემა “არგუსში”, იღებდა თუ არა ლექტორისგან უკუკავშირის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და სხვა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის ცვლილებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით. არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი” უზრუნველყოფს ასევე თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ავტომატურ რეჟიმში და აღნიშნული შედეგები ლექტორისთვის ხელმისაწვდომია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესორულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის დებულება;
- Erasmus+ სთან თანამშრომლობის ფარგლებში შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით პერსონალის უნარების განვითარებისთვის მხარდამჭერი პროექტები;
- კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები;
- კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები

რეკომენდირებულია სასწავლო კურსების: 1.ბიოლოგია ინჟინერთათვის, 2.შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II, 3.განაწილებული და პარალელური გამოთვლები, 4.რიცხვითი მეთოდების პრინციპების და 5. Nand2Tetris-ის სილაბუსებში შეფასების რუბრიკებში არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება. ასევე, რეკომენდირებულია, რომ Nand2Tetris-ის სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასება არ აღემატებოდეს 30 ქულას ან შეიცვალოს უსდ-ს რეგულაცია და შესაძლებელი გახდეს სასწავლო კურსის დასკვნითი შეფასების გაზრდა, რათა სილაბუსი წინააღმდეგობაში არ იყოს უსდ-ს მარეგულირებელ დოკუმენტთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან და მომიჯნავე საგანმანათლებლო

პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სტუდენტებთან საკონსულტაციო საათები და აუდიტორია შეთანხმდება სემესტრის დასაწყისში და სტუდენტებს ეცნობებათ „არგუსის“ საშუალებით. ამასთან, გასაუბრების პროცესში მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც როგორც უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას. ასევე სურვილისამებრ უსდ-ში სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ფსიქოლოგის კონსულტაციით. ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს სასწავლო პროცესის ძირითადი ასპექტების გაცნობის მიზნით ჩაუტარდებათ საორიენტაციო შეხვედრები უნივერსიტეტის და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. აგრეთვე, სასწავლო წლის დასაწყისში პირველი სასწავლო წლის და მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტებისათვის დეპარტამენტი აწყობს სტუდენტური ცხოვრების ფორუმს, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ სტუდენტური ცხოვრების ისეთ კომპონენტებს, როგორებიც არის საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა, საკლუბო ცხოვრება და მასში მონაწილეობა და სხვა, თუმცა აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის ვიზიტის დროს მომიჯნავე პროგრამის ინგლისურენოვანი სტუდენტისთვის არ იყო სათანადოდ ცნობილი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის ინსტრუქცია, ამიტომ სასურველია უსდ-მ აღნიშნული მიმართულებით ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის დამატებითი ტრენინგების ორგანიზება განახორციელოს.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის არსებობს კარგად გამართული პროგრამული სისტემა "არგუსი" - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა. უნივერსიტეტი აღნიშნულ სისტემაში ახდენს ყველა სტუდენტის რეგისტრაციას, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზებას, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სილაბუსების განთავსებას. აღნიშნული სისტემის საშუალებით, სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს, ამოწმებს მიღებულ შეფასებებსა და დაგროვებულ კრედიტებს. „არგუსში“ ხდება როგორც დასკვნითი, ასევე შუალედური შეფასებების ასახვა, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს, შეაფასოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები კურსის თითოეულ კომპონენტში და დაგეგმოს სწავლის შედეგების გაუმჯობესების სტრატეგია საბოლოო შეფასების მიღებამდე. სისტემა ასევე გამოიყენება როგორც საკომუნიკაციო მედია საშუალება აკადემიურ პერსონალს, სწავლის პროცესში ჩართულ სხვა პირებსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, „არგუსის“ საშუალებით მთელი წლის განმავლობაში ჰქონდეთ

კონტაქტი სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელებთან, მიიღონ მათგან საჭირო ინფორმაცია და უკუკავშირი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის სასწავლო პროგრამების კოორდინატორთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასევე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი ასევე მხარს უჭერს სტუდენტების ჩართულობას უნივერსიტეტში მოქმედ და ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროექტებსა და აქტივობებში. ამ მიზნით დეპარტამენტი მხარს უჭერს კურიკულუმის მიღმა აქტივობების განხორციელებას, კერძოდ, სპორტულ, სახელოვნებო და შემეცნებით მიმართულებებით სტუდენტურ ინიციატივებს, ღონისძიებებს, უკეთეს ორგანიზებას სტუდენტებისათვის შემეცნებით ღონისძიებებს, ღია ლექციებს და საჯარო დისკუსიებს, საზაფხულო და ზამთრის სკოლებს, უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას ელექტრონული ფოსტითა და „არგუსის“ მეშვეობით სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა და უნივერსიტეტისა თუ სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების (საჯარო ლექციები, ტრენინგები, სეზონური სკოლები, კონფერენციები და ა.შ.) შესახებ. დეპარტამენტი თავისი ბიუჯეტის ფარგლებში სთავაზობს ფინანსურ მხარდაჭერას სტუდენტებს პროექტების განხორციელებაში ან/და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისათვის. აგრეთვე უსდ-ში წარჩინებული სტუდენტებისთვის არსებობს სასწავლო სტიპენდიის მოპოვებისა და საზაფხულო და ზამთრის სკოლებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი სტუდენტებს სთავაზობს კარიერული განვითარების სერვისს, მათ შორის დასაქმების ფორუმებსა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსებს.

სტუდენტებს აგრეთვე აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ინსტრუქტორთან და ინდივიდუალური შეხვედრის ფორმატში მიიღონ რჩევა, როგორც მათთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით, ასევე მიიღონ უკუკავშირი წერილობითი ნაშრომის შესახებ. ამგვარი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კომპონენტის ფარგლებში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი - „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“. განსაკუთრებული

საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის უნივერსიტეტი სთავაზობს სერვისს, მათ შორის ბიბლიოთეკა, მათთვის ხელსაყრელ ფორმატში ამზადებს სასწავლო მასალებს, აღსანიშნავია, რომ უსდ მომიჯნავე პროგრამის შშმ სტუდენტს უქმნის სწავლისთვის სათანადო პირობებს.

საგარეო ურთიერთობების სამსახური ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებს (მაგ. Erasmus +) და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების შექმნას. აღნიშნულის ფარგლებში სამსახური სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის სერვისებს: უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ვებ-გვერდის, „არგუსის“, ელ-ფოსტისა და სოციალური ქსელის მეშვეობით, მართავს რეგულარულ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, დაინტერესებულ სტუდენტებს უწევს ინდივიდუალურ კონსულტაციას, გამარჯვებული სტუდენტებისთვის მართავს გამგზავრების-წინა საორიენტაციო შეხვედრებს. უზრუნველყოფს შესაბამისი ოფიციალური წერილების მომზადებას და სტუდენტთა სავიზო განაცხადების მხარდაჭერას, ასევე ფაკულტეტებთან და სკოლებთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოფს საერთაშორისო სტუდენტებისთვის სხვადასხვა სერვისების შეთავაზებას როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში. ამასთანავე, საგარეო ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ (საზაფხულო სკოლები, საერთაშორისო სტიპენდიები, კონფერენციები, სტაჟირებები, ა.შ.), აგრეთვე უსდ-ში არსებობს საერთაშორისო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის დაფინანსების მექანიზმი.

კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს აგრეთვე შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ საქართველოში პირველ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნებული, გამოთვლითი ცენტრის საქმიანობაში, რომელიც სტუდენტებს უზრუნველყოფს სათანადო გამოთვლითი და მონაცემთა შენახვის რესურსით რათა მათ ზედმეტი დანახარჯის გარეშე შეძლონ ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც საჭიროებს დიდ გამოთვლით სიმძლავრეებს, განაწილებული და პარალელური, კლასტერული სისტემების შექმნასა და მათი მართვისა და ოპტიმიზაციის კვლევას. ასევე, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამრეწველო პროექტების ლაბორატორია - FabLab, სტარტაპების პრე-აქსელერატორი ZoomOut და კიბერლაბორატორია Unilab. FabLaB-სა და UniLab-ში სტუდენტებისთვის ტარდება ისეთი ტრენინგები, როგორიცაა კომპიუტერული გრაფიკა, ვებ-დეველოპმენტი, ჩეთბოტებთან მუშაობა, ფრონტ-ენ დეველოპმენტი, მონაცემთა ინფოგრაფიკა, სოც-მედიის მართვა. FabLaB და ZoomOut კონსულტაციას უწევს სტუდენტებს სტარტაპების შექმნასა და განვითარებასთან დაკავშირებით. 2020-21 წლებში დაგეგმილია ოთხი სტუდენტური ბანაკის ორგანიზება, რომელიც მიემდგვნება ბიოტექნოლოგიებს, ფინტექს, საგანმანათლებლო აპლიკაციებს და ნივთების ინტერნეტს, შესაბამისად, კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს მიეცემა შესაძლებლობა ჩართონ აღნიშნულ ბანაკებში.

სტუდენტზე ორიენტირებული სხვადასხვა სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს სერვისების კვლევებს. კვლევის ანგარიშები ეგზავნება შესაბამის სამსახურებს საქმიანობის შემდგომი ეფექტური დაგეგმვისთვის, რაც დადასტურდა აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში. მთლიანობაში სტუდენტები მიიღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; ▪ სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის დებულება; ▪ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსების წესი (დამტკიცებულია 2008 წლის 24 ოქტომბრის აკადემიური საბჭოს №24-ე ოქმით); ▪ საგარეო ურთიერთობების სამსახურის დებულება; ▪ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიის სკოლის სასწავლო პროგრამების კოორდინატორის სამუშაოს აღწერილობა; ▪ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ▪ გამოთვლითი ცენტრის დებულება; ▪ პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობის წესი; ▪ თვითშეფასების დოკუმენტი; ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდი; ▪ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ სასურველია, უსდ-მ ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის დამატებით უზრუნველყოს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობაა 29. აქედან 17 აკადემიური პერსონალი და 12 მოწვეული პერსონალი.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის მანძილზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია - მათი პრაქტიკული/სამეცნიერო გამოცდილებით.

ფაკულტეტს აქვს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველსემესტრული დატვირთვის სქემა, რომელშიც ასახულია მათი სასწავლო დატვირთვა. სასწავლო კურსების სემესტრული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია მოწვეული და აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები დატვირთვისთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში შემუშვებული წესის მიხედვით, ფაკულტეტს აქვს განსაზღვრული საკუთარი აკადემიური პერსონალის კვლევითი და სასწავლო საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომელიც ადგენს პერსონალის ყოველწლიურ ვალდებულებებს კვლევით და სასწავლო საქმიანობასთან დაკავშირებით.

აკადემიური პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებში გათვალისწინებულია ჩართულობა პროგრამის შექმნასა და განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირება და მხარდაჭერა. აღნიშნული საქმიანობა განსაზღვრულია უნივერსიტეტში მოქმედი წესებით და აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებებით.

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის წამყვანი პროფესიონალი შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილებით. ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესში, რაც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შეფასების წესში და პროგრამის შეფასების კრიტერიუმებში.

პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განთლების ფაკულტეტი. ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და დამხმარე პერსონალს წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი, ტექნოლოგიის სკოლის ხელმძღვანელი, კოორდინატორი.

ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება როგორც აკადემიურ ისე მოწვეულ პერსონალთან. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო სასწავლო კურსის „Nand2Tetris“ ქართულ და ინგლისურ სილაბუსებში მითითებულია სხვადასხვა ლექტორი. გასაუბრება მოხდა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანთან და უნდა ავლნიშნოთ, რომ მან საგნის ირგვლივ დასმული შეკითხვების უმეტესობას ვერ გასცა პასუხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგები
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა;
- სწავლებაში ჩართული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;

○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებ დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ○ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; ○ ადმინისტრაციულ და მხმარე პერსონალს პირად საქმეები და სამუშაო აღწერილობები;
რეკომენდაციები: • დაზუსტდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „Nand2Tetris“ ლექტორი და იგი შეირჩეს საგნის ცოდნიდან გამომდინარე
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში - სწავლების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და მათი წახალისებისთვის. უნივერსიტეტში შეიქმნა „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი“, რომელიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდებთან, აგრეთვე პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით ტრენინგ მოდულების შექმნასა და დანერგვას აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. აკადემიური პერსონალი ჩართულია ათასწლეულის გამოწვევის მე-2 კომპაქტის ფარგლებში სან დიეგოს პროგრამების განხორციელებაში. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს ABET-ის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმსა და ტრენინგებში. უსდ-ში არსებული სტრუქტურული ერთეულები კოორდინაციას უწევენ აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. უნივერსიტეტში მოქმედებს რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ხდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციებსა და ვორკშოპებში მონაწილეობისთვის. პროფესიული განვითარების მიზნით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, უნივერსიტეტი სთავაზობს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში, თემატურ ტრენინგებს, ლექციებსა და კონფერენციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; ○ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები. ○ ინტერვიუ ადმინისტრაციასთან ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი; ○ გაცვლითი პროგრამები: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/samsaxurebi-da-servisebi-7/sagareo-urtiertobebis-samsaxuri-208/gacvliti-programebi;
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია კომპიუტერებით აღჭურვილი საკლასო ოთახები. უნივერსიტეტს გააჩნია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით. უნივერსიტეტი თანამშრომლობს Elsevier და სხვა სპეციალიზირებულ ელექტრონულ ბაზებთან თუ ბილიოთეკებთან, რომელზე წვდომაც აქვთ სტუდენტებს როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისევე სახლის პირობებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ვიზიტისას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან წარმოდგენილი იქნა აღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურის შესყიდვის დოკუმენტაცია, თუმცა ვერც ბიბლიოთეკაში და ვერც შესყიდვის დოკუმენტში ვერ მოიძებნა გარკვეული წიგნები (მაგ.: Nisan and Schocken, The Elements of Computing Systems, MIT Press, 2005 და Computational Complexity - PAPADIMITRIOU, Christos, Addison-Wesley, 1994). სასურველია გადაიხედოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო წიგნები და განხორციელდეს დანაკლისის შესყიდვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ბიბლიოთეკა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები და აღჭურვილობის დათვალიერება ○ ბიბლიოთეკარებთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: • გადაიხედოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო წიგნები და განხორციელდეს დანაკლისის შესყიდვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მასში გათვალისწინებულია პროგრამის მოსალოდნელი შემოსავალი, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება დაგეგმილი ხარჯების დაანგარიშება.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია ხარჯები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს. კერძოდ, ბიუჯეტში სახელფასო ხარჯის გარდა გათვალისწინებულია საჭირო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალების შეძენის ხარჯი, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების ხარჯი, პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ხარჯი რომელშიც, როგორც გასაუბრებიდან გაირკვა გათვალისწინებულია კონფერენციებში მონაწილეობა; პერსონალის პროფესიული განვითარება და სხვ.. ასევე ბიუჯეტში მითითებულია პროგრამის საერთაშორისო აკრედიტაციის და აგენტის ხარჯიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიუჯეტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ამ ეტაპზე არ ხორციელდება, ხარისხის შიდა შეფასება აღწერს უდს-ში მოქმედ საერთო წესს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია და ინტერვიუს შედეგები.

პროგრამის ხელმძღვანელი და სწავლებაში ჩართულ პერსონალი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ხარისხზე. ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცედურა, რომელიც სისტემატური მონიტორინგით განავითარებს პროგრამის ხარისხს, მისი შინაარსის, პროცესების და შედეგების კუთხით, დადგენილია, აღწერილია და გამოყენებულია დეტალურად. პასუხისმგებლობა მკაფიოდაა განსაზღვრული. PDCA ციკლი წარმატებითაა დანერგილი. იგი განიხილავს შეფასების შედეგებს და ანალიზებს სტუდენტთა შეფასებას და კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი ინსტრუმენტები, როგორებიცაა შეფასებისა და ანალიზის საშუალებები (მაგ. კითხვარები სტუდენტებისათვის, აკადემიური პერსონალისათვის) შემუშავებულია და გამოიყენება. პროგრამების და მისი კომპონენტების შეფასების მიზნით, გამოიყენება არგუსის ელექტრონულ სისტემაში არსებული ინტეგრირებული პროგრამის პაკეტი, რათა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის პროგრამებში ჩართულმა სტუდენტების უმრავლესობამ. შეფასების შედეგები ხელმისაწვდომი ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის და ასევე, სასწავლო კომპონენტების განმახორციელებელი პირებისათვის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი). შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის პერსონალთან ერთად, მუდმივად მუშაობს გამოვლენილი სუსტი მხარეების აღმოფხვრაზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს კურსდამთავრებულების კვლევას. კითხვარების მთავარი მიზანია, დადგინდეს პროგრამის ეფექტურობა და ფასდება კურსდამთავრებულების კმაყოფილება შეთავაზებულ აკადემიურ პროგრამასთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გარე შეფასება მოხდება უდს-ში მოქმედი წესების შესაბამისად. უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს კომპიუტერული მეცნიერებას დარგის სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კომპონენტების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდას.

კომპიუტერული მეცნიერებას საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მიზნით, გამოყენებულია:

- ABET კონსულტანტებისა და ABET აკრედიტაციის ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება. აღნიშნული შეფასება თან ერთვის დოკუმენტაციას და იგი არის დადებითი.
- დარგის უცხოელი ექსპერტების შეფასება და რეკომენდაციები, რომელიც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დარგის უცხოელი ექსპერტების უკუკავშირის ამსახველი ანგარიში.
- საერთაშორისო ექსპერტების (ABET) უკუკავშირისა და რეკომენდაციების ამსახველი ანგარიში
- მრჩეველთა საბჭოს დებულება

○
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი იმის გათვალისწინებით, რომ აკრედიტაციის მიზნით წადგენილი პროგრამა ამ ეტაპზე არ ხორციელდება, აკრედიტაციის ჯგუფი ძირითადად დაეყრდნო უნივერსიტეტში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტებს. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის

მეშვეობით. რომლის მიხედვით პროგრამა მოდიფიცირდება/ადაპტირდება შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე. პროგრამის ან სასწავლო კურსის გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ აღნიშნულ კურსს. მიღებული შედეგების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის გაუმჯობესება. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის პერიოდული მონიტორინგის პროცესში ჩართულია ABET-ის პროგრამის კოორდინატორი, რათა უზრუნველოს მისი თანხვედრა ABET-ის აკრედიტაციის მოთხოვნებთან. უნივერსიტეტში ერთი წლის წინ განხორციელდა კოლეგიალური შეფასების დანერგვა და ამ ეტაპისთვის მხოლოდ ერთ ფაკულტეტზე ხორციელდება. ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ისინი მუშაობენ აღნიშნული შეფასების ყველა ფაკულტეტზე დასანერგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები და ინსტრუმენტები. ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ილიას
 სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება
 (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
 დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანი არაბული



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ზურაბ ბოსიკაშვილი



მიხეილ რუხაია

ნიკა გიგაური

